

საქართველოს გამოსწავლები ღია მონაცემების მატივის კუთხით და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა

მონაცემების გლობალური ბარომეტრის შედეგების მიხედვით





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, საერთაშორისო მედიის მხარდაჭერის (IMS - International Media Support) ფინანსური დახმარებით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი IDFI. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი | 4 |
| მონაცემების გლობალური ბარომეტრის ფარგლებში იდენტიფიცირებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკა..... | 6 |
| GDB-ის შეფასებაში გამოყენებული მონაცემების სტანდარტი | 6 |
| მონაცემთა მართვა/განკარგვა | 7 |
| მონაცემების შესაძლებლობები | 8 |
| პოლიტიკური ანგარიშვალდებულება..... | 9 |
| უძრავი ქონების რეესტრი | 10 |
| საჯარო ფინანსები | 12 |
| კომპანიების რეესტრი | 14 |
| ჯანდაცვა და Covid-19..... | 16 |
| კლიმატის მონაცემები..... | 18 |
| ევროკავშირის ღია მონაცემების დირექტივა - OPEN DATA DIRECTIVE | 19 |
| დასკვნა | 25 |

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ მონაცემების, განსაკუთრებით კი საჯარო მონაცემების, ხელმისაწვდომობისა და გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოიტანა. ამ ტენდენციამ და მონაცემების შეგროვების ინოვაციურმა მიდგომებმა დადებითი შედეგები მოიტანა მრავალი მიმართულებით: მონაცემების გამოყენება ხდება საჯარო პოლიტიკის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების დროს; ცალკეულ კომპანიებსა და სერვისის მიმწოდებლებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა გაზარდონ საკუთარი საქმიანობის ხარისხი და დანერგონ ინოვაციური სერვისები; მოქალაქეები და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები არიან უკეთ ინფორმირებულნი და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. საჯარო მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას, ამცირებს კორუფციის რისკს, ზრდის მოქალაქეების ნდობას ხელისუფლების მიმართ, აუმჯობესებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და სახელმწიფო რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

საჯარო მონაცემების ხელმისაწვდომის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები თავიდანვე აქცენტს აკეთებდნენ ინფორმაციაზე წვდომის, როგორც ადამიანის ერთ-ერთი უფლების საკითხზე. მოგვიანებით ინფორმაციის გაზიარების/ხელმისაწვდომობის მოთხოვნას დაემატა მისი გამოქვეყნების ფორმატის დაკონკრეტებაც - კერძოდ, პრინციპი, რომ აუცილებელია მონაცემი ღია ფორმატში იყოს ხელმისაწვდომი (ე.წ. Open by default პრინციპი). ყველა სახის საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება ღია მონაცემად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები. მაშინ როცა, ღია მონაცემები წარმოადგენს ელექტრონულ ფორმატში სტრუქტურირებული სახით არსებულ მონაცემებს. კერძოდ, ღია მონაცემი გულისხმობს ე.წ. ნედლ, პირველად მონაცემს, რომელიც გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად ფორმატში (მაგ.: CSV, Open XML), ან ხელმისაწვდომია API-ის (Application Programming Interface)¹ საშუალებით.

ბოლო წლებში აქტუალური გახდა მსგავსი მონაცემებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღების წახალისება, რის საშუალებასაც სწორედ მათი გამოქვეყნების ფორმატი იძლევა. ამ შემთხვევაში ტექნიკური სპეციალისტებისთვის მარტივია მათთან მუშაობა და მათი მეშვეობით ახალი მომსახურებისა და აპლიკაციების შექმნა. ასევე, დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოახდინონ მონაცემების ინტეგრირება საკუთარ პლატფორმებთან, ბიზნესს თუ გასართობ სერვისებთან. რაც ხელს უწყობს მომსახურების სხვადასხვა სფეროს გაუმჯობესებას

¹ გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისი - პროგრამის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ფუნქციებს, კლასებსა და პროცედურებს და გამოიყენება ამავე პროგრამის სხვა კომპონენტებთან ან გარეშე პროგრამებთან ბრძანებებისა და მონაცემების მიმოცვლისთვის.

და განვითარებას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ გამოქვეყნებული მონაცემები წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განახლდეს და ყოველთვის ასახავდეს მოცემული მომენტისათვის არსებულ მდგომარეობას.

ევროკავშირის ამ მიმართულებით მიღებული აქვს სპეციალური დირექტივა წევრი ქვეყნებისთვის - ღია მონაცემების დირექტივა, რომელსაც მანამდე ერქვა საჯარო სექტორის მონაცემების ხელახალი გამოქვეყნების (ე.წ. PSI) დირექტივა და პირველად 2003 წელს იყო მიღებული. დირექტივა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მეტი საჯარო მონაცემები გახადონ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, მათ მიერ ხელახალი გამოყენების მიზნით. იგი ასევე მოუწოდებს ქვეყნებს რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი და ინფორმაცია აწარმოონ და გამოაქვეყნონ ღია ფორმატში (ე.წ. “open by design” და “open by default” პრინციპები). ასევე, ინოვაციების მხარდასაჭერად და ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხელახალი გამოყენების გასაზრდელად, წახალისებულია ინვესტიციების ჩადება მონაცემებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის დასაწარმოებლად. დირექტივა ორიენტირებულია მოაგვაროს სპეციფიკური სახელმძღვანელო ურთიერთობები საჯარო სექტორის ინფორმაციის მწარმოებლებსა და კერძო სექტორის მომხმარებლებს შორის. მოგვიანებით, აქტი გავრცელდა ახალ ორგანოებზე (მაგ. ბიბლიოთეკები, მუზეუმები, არქივები), დაწესდა მოსაკრებლის ზღვრული ლიმიტი, ასევე განისაზღვრა მოთხოვნები სამთავრობო ინფორმაციის ციფრულად წაკითხვადი ფორმატისთვის. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინება და ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში.

საქართველოშიც გვხვდება ღია მონაცემების ეკოსისტემის განვითარებაზე ორიენტირებული ცალკეული ინიციატივები და ძალისხმევა. ქვეყანაში არსებული მიდგომებსა და ძირითად გამოწვევებზე დაკვირვების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა [მონაცემების გლობალური ბარომეტრი \(GDB\)](#) საერთაშორისო კვლევა, რომელიც აფასებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მონაცემების მნიშვნელობასა და სარგებელს, და ეფუძნება ღია მონაცემების ბარომეტრის მეთოდოლოგიას.² GDB ერთიანი მეთოდოლოგიით, სხვადასხვა ინდიკატორების საფუძველზე, აფასებს 108 ქვეყანას და ადგენს ქვეყნების რეიტინგს. ბარომეტრის მეშვეობით შესაძლებელია არსებული გამოწვევების და კარგი პრაქტიკის გამოკვება, და ქვეყნების შედეგების ერთმანეთთან შედარება. GDB აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ ჰაბებთან, თემატურ პარტნიორებთან, მთავრობებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და მედიასთან. GDB-ის მიდგომა მოიცავს როგორც არსებული საკანონმდებლო გარემოს შეფასებას, ასევე მონაცემების სხვადასხვა კატეგორიების ხელმისაწვდომობის ანალიზს და მათი პრაქტიკული გამოყენების სიხშირისა და ხარისხის შესწავლას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ჰაბი გახდა GDB-ის 2021 წლის საპილოტე კვლევის

² [ღია მონაცემების ბარომეტრი](#)

ფარგლებში³. ჰაბი მოიცავს 12 ქვეყანას - უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და მონღოლეთი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინიციატივის მთავარი მიზანია, ქვეყნებში საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მონაცემების ხელმისაწვდომობის შეფასება, ღია მონაცემების ბარომეტრის მიღწევებისა და მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებას, ღია დიალოგსა და შემდგომ ემპირიულ კვლევებს.

მონაცემების გლობალური ბარომეტრის ფარგლებში იდენტიფიცირებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკა

GDB-ის ინდექსში, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის 12 ქვეყნიდან საქართველო 40.25 ქულით (100-იდან) მეხუთე ადგილს იკავებს, უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის და მოლდოვას შემდეგ. საქართველოს და ზოგადად რეგიონის შედეგების ანალიზის⁴ საფუძველზე მკაფიოდ გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები და ნაკლოვანებები. აღნიშნული შედეგების გაუმჯობესების პერსპექტივას თავად GDB-ის შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი იძლევა, კერძოდ საერთაშორისო კარგი პრაქტიკაზე დაკვირვებით.

GDB-ის შეფასებაში გამოყენებული მონაცემების სტანდარტი

გლობალური ბარომეტრის ყოვლისმომცველი მიდგომა ქვეყნებში არსებულ მონაცემების ეკოსისტემას ოთხი ძირითადი განზომილების საფუძველზე აფასებს: მონაცემების მართვა, შესაძლებლობები, ხელმისაწვდომობა, და მონაცემების გამოყენება/გავლენა. ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით, ინდექსი იყენებს 8 ძირითად კრიტერიუმს:

| კრიტერიუმი | განმარტება |
|----------------------|--|
| ონლაინ ხელმისაწვდომი | რამდენად ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზა სახელმწიფოს მიერ მართულ ვებგვერდებზე ან სხვა ონლაინ წყაროებიდან |
| უფასოდ ხელმისაწვდომი | არსებობს თუ არა რაიმე ტიპის ფინანსური ბარიერი მონაცემებთან წვდომის კუთხით |
| ღიად ლიცენზირებული | არსებობს თუ არა რაიმე შემზღუდველი პირობები მონაცემების გამოყენების თვალსაზრისით |

³ რეგიონული ჰაბები

⁴ მონაცემების გლობალური ბარომეტრის კვლევის შედეგები - საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების შედეგების მიმოხილვა

| | |
|---|--|
| მონაცემების დასამუშავებლად ხელმისაწვდომი სპეციალური საშუალებები | ხელმისაწვდომია თუ არა რაიმე ტიპის ონლაინ მექანიზმი/საშუალება რომელიც ხელს უწყობს მონაცემების ვიზუალიზაციას, დამუშავებას ან ანალიზს |
| განახლების პერიოდულობა | რამდენად ხშირად და დროულად ხდება ხელმისაწვდომი მონაცემების განახლება |
| ისტორიული მონაცემები | რამდენად სრულყოფილი და ხელმისაწვდომია წინა წლების მონაცემები (მაგ. შედარებითი ანალიზისთვის) |
| დამუშავებადი ფორმატი | რამდენად ხელმისაწვდომია მონაცემები კომპიუტერით დამუშავებად ფორმატებში (XML, JSON, CSV. etc) |
| ერთიანად ხელმისაწვდომობა | არის თუ არა შესაძლებელი მონაცემთა ბაზის ერთიანად ჩამოტვირთვა |

მონაცემთა მართვა/განკარგვა

მონაცემთა მართვის/განკარგვის ინდიკატორების მიხედვით, საქართველო რეგიონში მეშვიდე ადგილს იკავებს 34.54 ქულით. შედეგებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია მონაცემთა ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის და დაცვის რეგულაციების, პროცესებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება, და ამ მხრივ არსებული ძალისხმევის გაძლიერება. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი საჭიროებები: ღია მონაცემების ერთიანი პოლიტიკა, საჯარო მონაცემების მიმოცვლის საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო მონაცემების მართვის/განკარგვის ერთიანი სტანდარტი.

საერთაშორისო კარგი პრაქტიკებიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე. მაგალითად, კანადის სახაზინო საბჭოს სამდივნოს ფარგლებში შექმნილია ღია მმართველობის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია კანადის ღია მმართველობისა და ღია მონაცემთა ინიციატივებზე. ღია მმართველობის შესახებ დირექტივა, რომელიც მოქმედებს 2014 წლიდან, აწესებს მკაფიო და სავალდებულო მოთხოვნებს საჯარო უწყებებისთვის, რომ ხელმისაწვდომი გახადონ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის სამთავრობო მონაცემები.⁵ კანადაში ასევე ფედერალურ დონეზე მოქმედებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის აქტი,⁶ რომელიც ითვალისწინებს ცალკეული კატეგორიების საჯარო მონაცემების (როგორცაა კონტრაქტები, გრანტები და ტენდერები) პროაქტიულ გამოქვეყნებას და საჯარო უწყებების ხელთ არსებული ინფორმაციის მოთხოვნის უფლების გარანტიებს.

⁵ [ღია მმართველობის დირექტივა, 2014.](#)

⁶ [საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის აქტი](#)

2015 წელს, ავსტრალიის მთავრობამ ღია მონაცემების პოლიტიკის დადგენილება გამოსცა,⁷ რომლის საფუძველზეც ყველა არასენსიტიური (არაგასაიდუმლოებული) მონაცემთა ბაზები გახდა ღიად ხელმისაწვდომი (Open by Default), შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ღია მონაცემების პორტალი⁸ 2011 წლიდან მოქმედებდა და ცენტრალური, ფედერალური, და ადგილობრივი მთავრობების მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა, შესაბამისი პოლიტიკა და გამოქვეყნების წესები არ იყო უნივერსალური და თანმიმდევრული. დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს ერთიანი პოლიტიკა, ხოლო სხვადასხვა ადგილობრივ იურისდიქციებს დამატებით დაწესებული აქვთ ღია მონაცემების თავიანთი პოლიტიკები და მიდგომები.

ამ მხრივ რეგიონში უკეთესი შედეგები აჩვენა მოლდოვამ, საჯარო სექტორის მონაცემების გამოყენების მარეგულირებელი კანონი შემუშავებით, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ევროკავშირის ღია მონაცემების დირექტივასთან. კანონის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო დაწესებულებების მიერ დამუშავებული დოკუმენტების ხელახალ გამოყენებას კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის.

მონაცემების შესაძლებლობები

მონაცემების შესაძლებლობების თვალსაზრისით, აუცილებელია უკვე არსებული, ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალის გააქტიურება და მასზე მნიშვნელოვანი მონაცემების რეგულარულად განთავსება. საწყის ეტაპზე, ამ პროცესში სასურველია ჩართული იყოს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელიც აგროვებს და ამუშავებს საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის საჯარო მონაცემებს. ამავდროულად, გამოიკვეთა ადგილობრივ დონეზე მონაცემების განკარგვის შესაძლებლობების განვითარების საჭიროება.

ესტონეთი სტაბილურად ზრუნავს საჯარო მოხელეების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე მონაცემების მართვის მიმართულებით. ესტონეთის 2021-2022 წლის ღია მონაცემების სამოქმედო გეგმა⁹ ითვალისწინებდა ამ ტენდენციის გაგრძელებას და ერთ-ერთ პუნქტად საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილ ტრენინგებს მოიაზრებდა, რომელსაც 60 დაქირავებული ექსპერტი გაუძღვა.

რეგიონის ქვეყნებიდან, 2015 წელს უკრაინამ მოახდინა ღია მონაცემების პოლიტიკის ინტეგრაცია „მინისტრთა კაბინეტის კანონში“¹⁰, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე გამოთხოვილი მონაცემები

⁷ [ავსტრალიის მთავრობის, საჯარო მონაცემების პოლიტიკის დადგენილება](#)

⁸ [ავსტრალიის ღია მონაცემების პორტალი](#)

⁹ [ესტონეთის ღია მონაცემების სამოქმედო გეგმა](#)

¹⁰ [მინისტრთა კაბინეტის კანონი-მონაცემთა ბაზების ნუსხა რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს ღია ფორმატში](#)

გასცენ ღია ფორმატში და ასევე, რეგულარულად გამოაქვეყნონ განახლებული მონაცემები ეროვნულ ღია მონაცემების პორტალზე. 2018 წელს უკრაინამ მიიღო „ღია მონაცემთა სტრატეგია 2018-2020“. სტრატეგია ემყარება ღია მონაცემების საერთაშორისო ქარტიის პრინციპებს.¹¹

პოლიტიკური ანგარიშვალდებულება

პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მოდულში, საქართველომ საუკეთესო შეფასება ქონებრივი დეკლარაციების ინდიკატორში დაიმსახურა. ამ მხრივ მთავარ საჭიროებას აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამავე მოდულის ფარგლებში გამოიკვეთა საჯარო კონსულტაციების, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესების, კერძოდ, ამ მიმართულებით მონაცემების შეგროვების და დამუშავების მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ხორვატიამ¹², ყირგიზეთის რესპუბლიკამ¹³, და მალტამ¹⁴ OGP-ის სამოქმედო გეგმების ფარგლებში შეიმუშავეს ერთიანი ვებპორტალები, რომლებიც მოქალაქეებს აძლევს უკუკავშირის დაფიქსირების შესაძლებლობას კანონპროექტებთან და მიმდინარე ინიციატივებთან დაკავშირებით. ანალოგიური პორტალი, რომელმაც GDB-ის მეთოდოლოგიით ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება გვხვდება სომხეთშიც¹⁵. პორტალზე ინტეგრირებულია სტატისტიკისთვის განკუთვნილი სექცია, რომელიც მოიცავს გამოქვეყნებული კანონპროექტების და მომხმარებლების აქტივობის შესახებ ზოგად მონაცემებს.

ასევე, ჩილეში მოქმედი ქონებრივი დეკლარაციების პორტალზე მონაცემები ხელმისაწვდომია დამუშავებად ფორმატში (CSV, JSON), ერთიანად გადმოტვირთვის ფუნქციით. პორტალი ასევე უზრუნველყოფს SPARQL ტექნოლოგიის მხარდაჭერას რაც API-ის ანალოგიურად ამარტივებს მონაცემების რეალურ დროში დამუშავებას. დამატებით, ინტეგრირებულია ქონებრივი დეკლარაციების მონაცემების ვიზუალიზაციის საშუალებები.


¹¹ [ღია მონაცემების ქარტია](#)

¹² [ხორვატიის ელექტრონული კონსულტაციების სისტემა](#)

¹³ [ყირგიზეთის რესპუბლიკის საჯარო კონსულტაციების პორტალი](#)

¹⁴ [მალტას საჯარო კონსულტაციების პორტალი](#)

¹⁵ [სომხეთის საჯარო კონსულტაციების პორტალი](#)




| | | | |
|---|---|---|---|
| <p>560 statements of assets and interests</p> | <p>ministers</p> <ul style="list-style-type: none"> 3.4 declarations by assumption 22 declarations by update 4 termination statements | <p>Undersecretaries</p> <ul style="list-style-type: none"> 49 declarations by assumption twenty-one declarations by update 3 termination statements | <p>Ministers of Superior Courts of Justice</p> <ul style="list-style-type: none"> 81 declarations by assumption 1221 declarations by update 10 termination statements |
| <p>National and Regional Prosecutors of the Public Ministry</p> <ul style="list-style-type: none"> 13 declarations by assumption 93 declarations by update two termination statements | <p>Senators</p> <ul style="list-style-type: none"> 49 declarations by assumption 139 declarations by update 5 termination statements | <p>deputies</p> <ul style="list-style-type: none"> 179 declarations by assumption 374 declarations by update 53 termination statements | <p>mayors</p> <ul style="list-style-type: none"> 375 declarations by assumption 1577 declarations by update 139 termination statements |
| <p>Councilors</p> <ul style="list-style-type: none"> 2718 declarations by assumption 8162 declarations by update 573 termination statements | <p>Political parties</p> <ul style="list-style-type: none"> 352 declarations by assumption 700 declarations by update 60 termination statements | <p>Declarations of previous elections 2017-2021</p> <p>See here</p> | |

[ჩილეს ქონებრივი დეკლარაციების პორტალი](#)

უძრავი ქონების რეესტრი

საქართველოში მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების სრულად მისაღებად დაწესებულია საფასური, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ხელმისაწვდომობას. კერძოდ, მომხმარებლებს შეუძლიათ თავისუფლად გაეცნონ ინდივიდუალურ ჩანაწერებს, თუმცა მონაცემთა ბაზების გადმოწერა ფასიანია. GDB-ის ფარგლებში შესწავლილი ქვეყნების უმრავლესობა (70) აღნიშნულ მონაცემებს აქვეყნებს ღია ფორმატში, სრულიად უფასოდ. ამ კომპონენტში ღია სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია ფინანსური ბარიერის (Paywall) მოხსნა, მონაცემთა ბაზების დამუშავებად ფორმატში ხელმისაწვდომობა და მათი ერთიანად გადმოწერის ფუნქცია.


უძრავი ქონების რეესტრის კომპონენტში საუკეთესო შეფასება ახალმა ზელანდიამ დაიმსახურა. მიწის მონაცემების ერთიან პორტალზე მოცემულია როგორც მიწის მფლობელობის და მისი გამოყენების შესახებ ინფორმაცია, ასევე სხვა დაკავშირებული მონაცემები ღია სტანდარტების ყველა კომპონენტის შესაბამისად.



[ახალი ზელანდიის მიწის მონაცემების პორტალი](#)

ასევე მაღალი შეფასებით გამოირჩევა დანიის პორტალის მაგალითიც,¹⁶ რომელიც სრულად აკმაყოფილებს ღია სტანდარტებს და დამატებით იძლევა მონაცემების API სახით ხელმისაწვდომობას. პორტალზე განთავსებულია მონაცემები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიწის მფლობელობის და საკუთრების შესახებ. ასევე მოცემულია ინფორმაცია მიწის ღირებულებაზე და მასზედ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, და თითოეულ ჩანაწერს მისადაგებული აქვს გეო-ლოკაციური იდენტიფიკატორი.

¹⁶ [დანის სახელმწიფოს მიწის მონაცემების პორტალი](#)



[დანის სახელმწიფოს მიწის მონაცემების პორტალი](#)

საჯარო ფინანსები

საჯარო ფინანსების მიმართულებით, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო საკმაოდ ყოვლისმომცველი და დეტალურია, თუმცა არ მოიცავს მონაცემების სტრუქტურირებულ ფორმით გამოქვეყნების ვალდებულებასა და ინსტრუქციებს, რასაც GDB-ის მეთოდოლოგიის ფარგლებში მნიშვნელოვანი ქულობრივი წონა ენიჭება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ, ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საბიუჯეტო და ფინანსური მონაცემები ყოვლისმომცველია, ის არ არის ხელმისაწვდომი ღია ფორმატის ყველა მოთხოვნის დაცვით, არ არის ჩაშლილი ტრანზაქციების დონეზე, არ არის ერთიანად გადმოწერის შესაძლებლობა და ყველაზე გავრცელებული ფორმატები, რომლებიც გამოიყენება გამოსაქვეყნებლად არ არის იდეალური მონაცემთა ანალიზისთვის.

ამ კომპონენტში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება საფრანგეთს აქვს. დეტალური ფინანსური მონაცემები მოცემულია საფრანგეთის ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდზე,¹⁷ ხოლო მოქალაქეებისთვის დამატებითი ხელმისაწვდომობის და აღქმადობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველგვარი შემაჯამებელი ინფორმაცია მოცემულია სპეციალურ ვებგვერდზე.¹⁸ დამატებით, საჯარო შესყიდვების დეპარტამენტი აქვეყნებს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვების ნუსხას, რომელიც მოცემულია დამუშავებლად ფორმატში, API-ის საშუალებით და მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: შემსყიდველი უწყება, პროგრამა, პროექტი, შესყიდვის კოდი, შესყიდვის კატეგორია,

¹⁷ [საფრანგეთის ეკონომიკის სამინისტრო](#)


¹⁸ [საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ვებგვერდი](#)

ადგილმდებარეობა, ტენდერის გამოცხადების სავარაუდო თარიღი, კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობა, შესყიდვის სავარაუდო თანხა.

The screenshot shows the 'data.economie.gouv.fr' website interface. The main content is a table titled 'Programming of State purchases 2020-2023'. The table has columns for 'Code GM', 'Label GM', 'Scope Status', 'Geographical scope', 'Proposed date for notification', 'Year of programming', 'Contractual duration envisaged', and 'Provisional amount over the total'. The table lists various purchase categories such as 'Reproduction, desktop p...', 'Quality and method advice', 'Transport of funds and w...', 'Rental charges', 'General study', 'District heating and air c...', 'Other benefits and servi...', 'Building renovation work...', 'Multi-services-multi-fach...', 'Building renovation work...', 'IS strategy audit and ad...', 'Laboratory consumables', 'MAINTENANCE SERVI...', 'Laboratory services, me...', 'Standard mail shipping c...', 'Maintenance of green a...', and 'Equipment, laboratory a...'. Each row includes a date and a numerical value representing the amount.

[საფრანგეთის საჯარო ფინანსების პორტალი](#)

თუმცა, ასევე აღსანიშნავია რომ გამოქვეყნებული მონაცემები სრულად არ აკმაყოფილებს საერთაშორისო საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტანდარტებს. ინდივიდუალური ტრანზაქციების წარმოჩენის თვალსაზრისით უფრო დეტალური გერმანიის ფინანსთა სამინისტროს მიდგომა, რომელიც ინტერაქციული პლატფორმის საშუალებით იძლევა ყველანაირი სახელმწიფო ხარჯების ვიზუალიზაციის საშუალებას.



[გერმანიის ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი](#)

კომპანიების რეესტრი

სახელმწიფო აგროვებს და აქვეყნებს ზოგად მონაცემებს კერძო კომპანიების შესახებ, რიგ სფეროებში ასევე გათვალისწინებულია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტი, კერძოდ სამაუწყებლო სფეროში და კომერციული ბანკების საქმიანობა. თუმცა კომპანიების ბაზაში შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ჩანაწერების ძიება და არ იძლევა მონაცემების ერთიანად გადმოტვირთვის საშუალებას.

ბარომეტრის მეთოდოლოგიის მიხედვით, საუკეთესო შეფასება დაფიქსირდა დანიის შემთხვევაში, როგორც კანონმდებლობის ასევე მონაცემების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. დანიის ცენტრალური ბიზნეს რეესტრი მოიცავს ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიების სრულყოფილ ბაზას და ინტეგრირებული აქვს მრავალფუნქციური ფილტრის მექანიზმი, რომელიც სხვა პარამეტრებთან ერთად იძლევა ბენეფიციარ მესაკუთრეების მიხედვით ძიების საშუალებას. პორტალი ასევე უზრუნველყოფს API ხელმისაწვდომობას. პორტალზე ხელმისაწვდომია დანიაში რეგისტრირებული იურიდიული პირების შესახებ შემდეგი მონაცემები:

- სარეგისტრაციო ნომერი
- მისამართი
- მუნიციპალიტეტი, ქალაქი და საფოსტო კოდი
- რეგისტრაციის თარიღი
- სამართლებრივი ფორმა
- სტატუსი
- საკონტაქტო მეილი
- საქმიანობის კოდი
- საქმიანობის მოკლე აღწერა
- დღგ-ს გადამხდელის ნომერი
- სარეგისტრაციო კაპიტალი
- პირველი საბუღალტრო პერიოდი
- მმართველობითი სტრუქტურა და ასოცირებული პირები
- ფაქტობრივ და ბენეფიციარ მესაკუთრეთა ჩამონათვალი (სახელი/გვარი/ მისამართი/საკუთრებაში არსებული წილების ოდენობა წლების მიხედვით)
- წარსული მესაკუთრეები და ბენეფიციარი მესაკუთრეები
- ფინანსური ანგარიშები
- სარეგისტრაციო ისტორია
- დასაქმებულთა რაოდენობა თვეების მიხედვით

ცალკეულ კომპანიებზე ასევე მოცემულია სხვა უფრო დეტალური ინფორმაციაც, როგორცაა საწარმოების მისამართები, სარეგისტრაციო ისტორია და სხვა საჯარო ფინანსური თუ საბუღალტრო დოკუმენტები.

Search CVR

Municipality

Region

Number of employees

Business status

Business type

Business marker

Person's affiliation

1 of 32 chosen × ^

- Fully liable partner
- Legal owners
- Liquidator
- Beneficial owners

Business's start and cessation dates

Choose activity

[დანის ცენტრალური ბიზნეს რეესტრის ვებგვერდი](#)

ნაკლებად სრულყოფილი, მაგრამ ქართულ გამოცდილებასთან უფრო მიახლოებული მიდგომა ლატვიის შემთხვევაში გვხვდება. 2017 წელს მიღებულ კანონში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, ლატვიაში რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ პირს დაეკისრათ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციის ვალდებულება, ხოლო 2020 წელს ლატვიის რესპუბლიკის საწარმოთა რეესტრის შესახებ კანონში დაემატა აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში გამოქვეყნების ვალდებულება. მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ლატვიის ოფიციალურ ღია მონაცემების პორტალზე, დამუშავებად ფორმატში, ერთიანი გადმოწერის ფუნქციით, API მხარდაჭერით და მოიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სარეგისტრაციო ნომერი, ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი/გვარი/უნიკალური იდენტიფიკატორი, ლატვიური პირადი ნომერი (ნაწილობრივ დაფარული), დაბადების თარიღი, ეროვნება, რეზიდენციის/საცხოვრებელი ქვეყანა, რეგისტრაციის თარიღი, უკანასკნელი ცვლილების თარიღი.

The real beneficiaries

[Go to resource](#)[Data API](#)

URL: <https://data.gov.lv/dati/dataset/b7848ab9-7886-4df0-8bc6-70052a8d9e1a/resource/20a9b26d-d056-4dbb-ae18-9ff23c8...>

Information about the current beneficial owners of the legal entities (Beneficiary Beneficiaries) - natural persons.

The legal basis for publicizing the data of natural persons is the twelfth part of Article 4.10 of the Law "On the Enterprise Register of the Republic of Latvia" (in force on 01.11.2020).

Column explanations:

id - Unique resource identifier

legal_entity_registration_number - Legal entity registration number

forename - Name

surname - Surname

latvian_identity_number_masked - Part of the personal code

birth_date - Date of birth (if there is no personal code) in the format YYYY-MM

nationality - Nationality (ISO 3166 Alpha-2 code)

residence - Country of residence (ISO 3166 Alpha-2 code)

registered_on - Date of registration

last_modified_at - The time the record was last modified

Data Browser

In full screen mode

Add filter

Data table Schedule Map 185736 entries

« 1 - 100 »

Filters

| _id | id | legal_e... | forename | surname | latvian_... | birth_da... | national... | residence | register... | last_mo... |
|-----|-------|------------|----------|---------|-------------|-------------|-------------|-----------|-------------|------------|
| 1 | 64582 | 400032... | Argod | Lynx | 090859-... | | LV | LV | 2019-05... | 2019-05... |
| 2 | 64583 | 400032... | Antra | Lynx | 181259-... | | LV | LV | 2019-05... | 2019-05... |
| 3 | 11 | 421030... | Drunk | Lifter | 060481-... | | LV | LV | 2017-12... | 2017-12... |

[ბენეფიციარი მესაკუთრეების ნუსხა ლატვიის ღია მონაცემების პორტალზე](#)

იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა, აუცილებელია ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრის შექმნა ან საჯარო რეესტრის სისტემაში გაერთიანება, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ, მათ შორის იურიდიული პირების პარტნიორების შესახებ. ამისათვის, პირველ რიგში საჭიროა საკანონმდებლო დონეზე დაფარვის სფეროს გაზრდა, რათა ბენეფიციარი მესაკუთრეობის მარეგულირებელი აქტები გავრცელდეს სხვა სექტორებზეც და არ იყოს ლიმიტირებული მხოლოდ სამაუწყებლო და საბანკო საქმიანობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თავად კომპანიების რეესტრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ერთიანად გადმოტვირთვის ფუნქციის დამატებით.


ჯანდაცვა და Covid-19

ჯანდაცვა და Covid-19-ის მოდული სამი კომპონენტისგან შედგება, დემოგრაფიული სტატისტიკის ხელმისაწვდომობა და ხარისხი (CVRS Data), ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლები რეალურ დროში, და Covid-19 ვაქცინაციის სტატისტიკის ხელმისაწვდომობა და

ხარისხი. საქართველოში დემოგრაფიული მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) პორტალზე, ICD 10 (International Classification of Diseases-ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია) სტანდარტის გამოყენებით. სიკვდილიანობის მონაცემები მოცემულია სრულყოფილად, თუმცა შობადობის სტატისტიკას აკლია რამდენიმე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, როგორცაა: დედის რეგისტრაციის ადგილმდებარეობა, მშობიარობებს შორის დროის ინტერვალი, გესტაციის პერიოდი (Gestation Period), ახალშობილის წონა, დედის განათლების დონე, მამის ასაკი, და სხვა. რაც შეეხება ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლებს, აღნიშნული მონაცემი რეალურ დროში არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, კოვიდ-19-ის პრევენციის ეროვნული პლატფორმა რეალურ დროში აქვეყნებს სამედიცინო დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პაციენტების რაოდენობას (მხოლოდ კოვიდ-19-ით ინფიცირებული პაციენტები), ხოლო საქსტატი ყოველწლიურად აქვეყნებს საავადმყოფო საწოლების საერთო რაოდენობას. ამ ორ მონაცემის განზოგადებით, მედია საშუალებები ხშირად ვარაუდობენ ჯანდაცვის სისტემის დატვირთულობის მიმდინარე მაჩვენებელს. ვაქცინაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის სპეციალიზებულ ვებგვერდზე. მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკების და ინტერაქტიული რუკების სახით, მაგრამ ერთიანი და დამუშავებადი მონაცემთა ბაზები არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მონაცემებს აკლია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორი და არ არის საკმარისად ჩაშლილი სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

GDB-ის ფარგლებში გამოვლენილი მაგალითებიდან, ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის მაჩვენებლების გასაჯაროების გერმანულმა პრაქტიკამ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. სპეციალურ პორტალზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებში ინტენსიური ზრუნვის განყოფილებების დატვირთულობის მაჩვენებლები. მონაცემები ჩაშლილია რეგიონების, ინდივიდუალური სამედიცინო დაწესებულებების, ზრუნვის ინტენსივობის ხარისხის, და მონაცემის ბოლო განახლების დროის მიხედვით (განახლებულია ყოველდღიურად). პორტალზე დამატებით მოცემულია კოვიდით ინფიცირებული პაციენტების წილი და მათი ასაკი. დაბოლოს, პორტალი უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებად ფორმატში (CSV) ერთიანად გადმოტვირთვის ფუნქციას.

Anteil der COVID-19 PatientInnen an der Gesamtzahl der Intensivbetten



■ < 5%
 ■ 5%-10%
 ■ 10%-15%
 ■ 15%-20%
 ■ 20%-30%
 ■ ≥ 30%


Die dargestellten Zahlen basieren jeweils auf den aktuellsten Meldungen von 1297 Erwachsenen Meldebereichen* aus den letzten 7 Tagen. Dargestellte Kapazitäten und Fallzahlen umfassen Erwachsene.

Stand: 04.11.2022 15:19

* umfasst ggf. nicht alle Meldebereiche eines Krankenhausstandortes.

Erstellt mit Datawrapper

Anteil der freien Betten an Gesamtzahl der Intensivbetten



■ < 10%
 ■ 10%-15%
 ■ 15%-20%
 ■ 20%-25%
 ■ ≥ 25%

Die dargestellten Zahlen basieren jeweils auf den aktuellsten Meldungen von 1297 Erwachsenen Meldebereichen* aus den letzten 7 Tagen. Dargestellte Kapazitäten und Fallzahlen umfassen Erwachsene.

Stand: 04.11.2022 15:19

* umfasst ggf. nicht alle Meldebereiche eines Krankenhausstandortes.

Daten herunterladen - Erstellt mit Datawrapper

გერმანიის ინტენსიური ზრუნვის რეესტრი

ამრიგად, იმისათვის რომ საქართველოს მიდგომები ჯანდაცვის სექტორის მონაცემების მიმართ დაუახლოვდეს საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოხდეს ჯანდაცვის სექტორის დატვირთულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და რეალურ დროში გამოქვეყნება, ხოლო ვაქცინაციის შესახებ მონაცემები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ერთიან და დამუშავებად ფორმატში, და იყოს წარმოდგენილი ჩაშლილად, სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

კლიმატის მონაცემები

კლიმატის მონაცემების თვალსაზრისით, საქართველო გარკვეულწილად აკმაყოფილებს მოდულის ორი კომპონენტის, ემისიები და ბიომრავალფეროვნება, თუმცა ნულოვანი ქულით შეფასდა მესამე კომპონენტში, რომელიც აფასებს სტიქიური მოვლენების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის მონაცემების ხელმისაწვდომობას.

ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო პერიოდულად შეისწავლის და აქვეყნებს კლიმატის ცვლილებისა და სოციალური მოწყვლადობის ურთიერთქმედების ანგარიშს. ანგარიშის ტექნიკურ დანართებში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავებად ფორმატში, სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით:¹⁹ ჰაერის ხარისხი და ჯანდაცვა, ექსტრემალური ტემპერატურები და ჯანდაცვა, ექსტრემალური ტემპერატურა და შრომითი ბაზარი, წყალდიდობის რისკები და ა.შ.

¹⁹ [ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს ანგარიში](#)

როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანია დაიწყოს მონაცემების შეგროვება და დამუშავება სტიქიური მოვლენების და კლიმატის ცვლილებების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შესახებ.

ევროკავშირის ღია მონაცემების ღირეექტივა - OPEN DATA DIRECTIVE

საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ღია მონაცემების ღირეექტივის (Open Data Directive²⁰) გათვალისწინება. ღირეექტივა ძალაში შევიდა 2019 წლის 16 ივლისს და ჩაანაცვლა საჯარო სექტორის ინფორმაციის ღირეექტივა (Public Sector Information Directive²¹). ღირეექტივის რატიფიცირება და ეროვნულ დონეზე დანერგვა ევროკავშირის და შენგენის ზონის ყველა ქვეყანამ განახორციელა, სრულად ან ნაწილობრივ. საქართველოს მხრიდან ანალოგიური მზადყოფნის დაფიქსირება პოტენციურად ხელს შეუწყობს არამხოლოდ ქვეყნის მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებას, არამედ იქნება ეროვნული კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და ზოგადად, ევროინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ღირეექტივა მეტწილად ორიენტირებულია საჯარო ინფორმაციის გამოყენების ეკონომიკურ და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტებზე. ის მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნებს, რაც შეიძლება მეტი საჯარო ინფორმაცია გახადონ ხელმისაწვდომი როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული გამოყენებისთვის. ღირეექტივა ვრცელდება საჯარო დაწესებულებების მიერ შენახულ მასალებზე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე (სამინისტროები, საჯარო უწყებები, მუნიციპალიტეტები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან). წინამორბედი რეგულაციისგან განსხვავებით, ახალი ღირეექტივა დამატებით მოიცავს საჯარო ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი სუბიექტების (სუბიექტების უფრო ზუსტი ნუსხა მოცემულია 2014/25/EU ღირეექტივაში²²) ხელთ არსებულ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მონაცემებს, და საჯარო დაფინანსების შედეგად წარმოებულ კვლევებსა და მონაცემებს.

ღირეექტივის მესამე თავი ეხება მონაცემების გამოქვეყნებისთვის აუცილებელ ზოგად ფორმატებს, საფასურის დაწესების პრინციპებს, გამჭვირვალობის და ლიცენზირების სტანდარტებს, და მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელ სხვა

²⁰ [Directive \(EU\) 2019/1024 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on open data and the re-use of public sector information](#)

²¹ [Directive 2003/98/EC of the European Parliament and of the Council of 17 November 2003 on the re-use of public sector information](#)

²² [Directive 2014/25/EU on procurement by entities operating in the water, energy, transport and postal services sectors](#)

პრაქტიკულ ნაბიჯებს. ღირეტივის თანახმად, საჯარო უწყებების ხელთ არსებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღია, დამუშავებად ფორმატში და თან ერთოდეს შესაბამისი მეტამონაცემები. დინამიური მონაცემები²³ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი შეგროვების თანავე, შესაბამისი API საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში იძლეოდეს ერთიანად გადმოწერის საშუალებას. რაც შეეხება გამოყენების საფასურს, ღირეტივა ადგენს, რომ მონაცემები უნდა იყოს უფასოდ ხელმისაწვდომი წინასწარ განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს საჯარო უწყების მიერ მონაცემების დამუშავების და გასაჯაროების ხარჯს.

ღირეტივის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ინფორმაციისა და მონაცემების, როგორც ინფრასტრუქტურის იდეა. ინოვაციების წახალისების და ღია მონაცემების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო უწყებებმა უნდა მიმართონ ძალისხმევა მათ ხელთ არსებული ინფორმაციის და მონაცემების სტრუქტურირებულ საჯარო რესურსად ჩამოყალიბებისკენ.

ღირეტივა განსაკუთრებულად გამოყოფს „მაღალი ღირებულების მონაცემთა ბაზების“ და შესაბამისად, ექვს პრიორიტეტულ კატეგორიას განსაზღვრავს:

- გეოლოკაციური მონაცემები (Geospatial)
- ეკოლოგიური და გეოლოგიური მონაცემები (Earth observation and environment)
- მეტეოროლოგიური მონაცემები
- სტატისტიკური მონაცემები
- კომპანიები და კომპანიების მფლობელობა
- მობილობა (Mobility)

ღირეტივაში მოცემული განმარტების თანახმად, მოცემულ ჩამონათვალში განსაზღვრულია ისეთი კატეგორიის მონაცემები, რომელთა გამოყენება ასოცირდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელთან. განსაკუთრებით დამატებითი ღირებულების სერვისების, აპლიკაციების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობის თვალსაზრისით. ღირეტივის მე-14 მუხლში მოცემულია ოთხი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი ღირებულების მქონედ განსაზღვრული მონაცემთა ბაზები:

- უფასოდ ხელმისაწვდომი;
- დამუშავებად ფორმატში ხელმისაწვდომი;
- API-ის საშუალებით ხელმისაწვდომი;
- ერთიანად გადმოწერადი (provided as a bulk download).

²³ **დინამიური მონაცემები** - ღირეტივაში მოცემული დეფინიციის თანახმად, დინამიური მონაცემები გულისხმობს ელექტრონულ ფორმაში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც არის ხშირად ან რეალურ დროში განახლებადი (მაგალითად ჰაერის ხარისხის სენსორების მიერ შეგროვებული მონაცემები);

კონკრეტული მონაცემთა ბაზები განისაზღვრება დამატებით საკანონმდებლო აქტში, რომლის პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია და უახლოეს მომავალში განიხილება ევროკომისიაში.²⁴

კანონპროექტით გათვალისწინებული მაღალი ღირებულების მონაცემთა ბაზები არასრული ჩამონათვალი:

| კატეგორია | მონაცემთა ბაზები | კრიტერიუმები |
|--------------------------------------|-----------------------------------|---|
| გეოლოკაციური მონაცემები (Geospatial) | ადმინისტრაციული ერთეულები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - ოფიციალური დასახელება. |
| | გეოგრაფიული ერთეულები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - ოფიციალური დასახელება. |
| | მისამართები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - მისამართის დამაზუსტებელი (მაგ. შენობის ნომერი); - ქუჩის დასახელება; - ადმინისტრაციული ერთეული; - განახლების თარიღი. |
| | შენობა-ნაგებობები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - სართულების რაოდენობა; - დანიშნულება. |
| | საკადასტრო ერთეულები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - ნაკვეთის ტიპი; - ადმინისტრაციული ერთეული; - საკადასტრო კოდი. |
| | სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები | - უნიკალური იდენტიფიკატორი; - გეომეტრიული პარამეტრები; - ნაკვეთის დანიშნულება (მოსავლის ტიპი); |
| ეკოლოგიური და გეოლოგიური მონაცემები | ჰაერი კლიმატი | კონკრეტული კრიტერიუმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, მონაცემთა თითოეული |

²⁴ https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12111-Open-data-availability-of-public-datasets_en

| | | |
|-------------------------------------|---|--|
| (Earth observation and environment) | ემისიები | ბაზის შესაბამისი ღირებულების მითითებით |
| | ბიო-მრავალფეროვნება | |
| | ხმაურის დაბინძურება | |
| | წყლის რესურსები | |
| | კომუნალური ნარჩენები | |
| მეტეოროლოგიური მონაცემები | მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები | კონკრეტული კრიტერიუმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, მონაცემთა თითოეული ბაზის შესაბამისი ღირებულების მითითებით |
| | რადარის სადგურების მონაცემები | |
| | ამინდის ციფრული პროგნოზის მონაცემები | |
| სტატისტიკური მონაცემები | ინდუსტრიული წარმოება | კონკრეტული კრიტერიუმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, მონაცემთა თითოეული ბაზის შესაბამისი ღირებულების მითითებით |
| | ინდუსტრიული წარმოების საფასო ინდექსი აქტივობების მიხედვით | |
| | ვაჭრობის მოცულობა აქტივობების მიხედვით | |
| | საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა | |
| | ტურისტული ნაკადები | |
| | საცალო ფასების ინდექსი | |
| | ეროვნული ანგარიშები | |
| | საბიუჯეტო ხარჯები და შემოსულობები | |
| | საგარეო ვალი | |
| | მოსახლეობა | |

| | | |
|--------------------------------------|---|---|
| | შობადობა | |
| | სიკვდილიანობა | |
| | ჯანდაცვის ხარჯები | |
| | სიღარიბე | |
| | უთანასწორობა | |
| | დასაქმება | |
| | უმუშევრობა | |
| | პოტენციური სამუშაო ძალა | |
| კომპანიები და კომპანიების მფლობელობა | კომპანიებზე ძირითადი ინფორმაცია | <ul style="list-style-type: none"> - კომპანიის დასახელება; - კომპანიის სტატუსი; - რეგისტრაციის თარიღი; - რეგისტრაციის ადგილმდებარეობა; - იურიდიული ფორმა; - სარეგისტრაციო ნომერი; - რეგისტრაციის ქვეყანა; - კომპანიის აქტივობის სფეროს განმსაზღვრელი ნომერი (მაგ. NACE კოდი). |
| | კომპანიების საბუღალტრო დოკუმენტები ანგარიშები | <ul style="list-style-type: none"> - აუდიტის ანგარიშები; - ფინანსური ანგარიშები; - არა-ფინანსური ანგარიშები და რეპორტები; - წლიური ფინანსური ანგარიშები. |
| მობილობა (Mobility) | ფარვატერების პარამეტრები | სტატისტიკური მონაცემები |
| | ფარვატერების გრძელვადიანი შეფერხებები | |
| | გადაადგილების საფასური | |

| | | |
|--|--|-----------------------------------|
| | სხვა შემზღვეველი ფაქტორები | |
| | პორტების ლოკაცია და პარამეტრები | |
| | სანავიგაციო ნიშნების ნუსხა | |
| | სანავიგაციო წესების და რეკომენდაციების ნუსხა | |
| | სანავიგაციო არხში წყლის სიღრმის კონტურები | დინამიურად განახლებადი მონაცემები |
| | ფარვატერების ხანმოკლე შეფერხებები | |
| | წყლის დონე | |
| | მდინარეების, არხების, და ხიდების მდგომარეობა | |
| | წყალდიდობის და მოყინვის შედეგად გამოწვეული შეფერხებები | |
| | სანავიგაციო ნიშნების დროებითი ცვლილებები | |

დასკვნა

საქართველო საკმაოდ მაღალი ტემპით ვითარდებოდა ღია მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული რეფორმების დანერგვით, თუმცა ბოლო წლებში ამ მიმართულებით ჩატარებული სხვადასხვა საერთაშორისო კვლევისა და ინდექსის შედეგებში ხშირად იკვეთება სტაგნაცია. გამოწვევები მრავლად გვხვდება ღია მონაცემების ეკოსისტემის კონტექსტშიც, და ეს თვალსაჩინოა კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებითაც. კერძოდ, ღია მონაცემების ეროვნული პორტალი არ განახლებულა ბოლო ორი წლის განმავლობაში და ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს ყველა აუცილებელ ფუნქციას (API ხელმისაწვდომობა). ამავდროულად, მართალია ქვეყანამ დაიწყო ღია კონტრაქტის მონაცემთა სტანდარტების (OCDS) დანერგვა, მაგრამ ინიციატივის ფარგლებში შექმნილი პორტალი/მოდული და გამოქვეყნებული მონაცემები 2019 წლის შემდეგ აღარ განახლებულა.

საკანონმდებლო ჩარჩოს თვალსაზრისით, ქვეყანაში კვლავ არ არსებობს ღია მონაცემების მარეგულირებელი კანონი, ნორმები ან/და სტანდარტები. ამ მხრივ, საქართველოს ევროპული მისწრაფებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ევროკავშირის ღია მონაცემების დირექტივის პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინება. საქართველოს მხრიდან ანალოგიური მზადყოფნის დაფიქსირება პოტენციურად ხელს შეუწყობს არამხოლოდ ქვეყნის მონაცემთა ეკოსისტემის განვითარებას, არამედ ევროპულ სტრუქტურებთან საქართველოს ინტეგრაციას, სამართლებრივი სისტემების დაახლოებასა და კანონმდებლობის ზოგად ჰარმონიზაციას.

მონაცემების შესაძლებლობების თვალსაზრისით, აუცილებელია უკვე არსებული, ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალის გააქტიურება და მასზე მნიშვნელოვანი მონაცემების რეგულარულად განთავსება. საწყის ეტაპზე, ამ პროცესში სასურველია ჩართული იყოს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელიც აგროვებს და ამუშავებს საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მაღალი ინტერესის მქონე მონაცემებს.

ამავდროულად, გამოიკვეთა საჯარო მოხელეების და განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლების მონაცემების განკარგვის შესაძლებლობების განვითარების საჭიროება. საქართველოში ჩატარებული შესაძლებლობების გაძლიერების სხვადასხვა ღონისძიებების და ტრენინგების მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით ასეთი ძალისხმევა მაინც მწირი და ფრაგმენტულია. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჭიროა სისტემური და მასშტაბური მიდგომები, რაც საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილი სასწავლო მოდულებისა და შესაძლებლობების მუდმივ მიწოდებასა და განახლებას მოიაზრებს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20

ტელ: +995 32 2 921514

ელ-ფოსტა: info@idfi.ge